

დამკვეთი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აუდიტორი

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

205279660

ვიქტორ დოლიძის ქ. #2.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
მოსაზრება	3
მოსაზრების საფუძველი.....	3
სხვა ინფორმაცია.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ.....	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
ძირითადი საქმიანობა	10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი.....	10
უცხოური ვალუტის ოპერაციები.....	11
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12
მოგების გადასახადი	12
დამატებითი ღირებულების გადასახადი.....	13
ძირითადი საშუალებები	13
არამატერიალური აქტივები	13
გადახდილი ავანსები	13
სესხები.....	14
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	14
დივიდენდები	14
შემოსავალი რეალიზაციიდან	14
თვითღირებულების ხარჯები	14
ხარჯები	14
პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.....	14
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....	20
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
ბალანსის შემდგომი მოვლენები	21

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი შენიშვნების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 15 ივნისს და ამდენად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების და ძირითადი საშუალებების ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობილი მარაგების და ძირითადი საშუალებების რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების და ძირითადი საშუალებების ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნას არ წარმოადგენს მასზე. გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა,

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვეკლდება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაბამეა კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

30 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

ბელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

30 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	3	5,643,945	7,848,718
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	4	(1,818,170)	(2,654,771)
მთლიანი მოგება		3,825,775	5,193,948
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(5,384,976)	(6,187,067)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	47,036	727,906
სხვა საოპერაციო ხარჯები		(556,588)	(241,173)
საოპერაციო მოგება		(2,068,754)	(506,386)
ფინანსური შემოსავალი	7	184,625	1,034,503
ფინანსური ხარჯი	8	(604,732)	(414,625)
მოგება დაბერგვრამდე		(2,488,861)	113,492
მოგების გადასახადი		(3,336)	(14,656)
წმინდა მოგება		(2,492,197)	98,835
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(2,492,197)	98,835

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნ. ქელიძე

ბუღალტერი - ლ.ორთაწაშვილი

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	3	5,643,945	7,848,718
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	4	(1,818,170)	(2,654,771)
მთლიანი მოგება		3,825,775	5,193,948
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(5,384,976)	(6,187,067)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	47,036	727,906
სხვა საოპერაციო ხარჯები		(556,588)	(241,173)
საოპერაციო მოგება		(2,068,754)	(506,386)
ფინანსური შემოსავალი	7	184,625	1,034,503
ფინანსური ხარჯი	8	(604,732)	(414,625)
მოგება დაბერგვრამდე		(2,488,861)	113,492
მოგების გადასახადი		(3,336)	(14,656)
წმინდა მოგება		(2,492,197)	98,835
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(2,492,197)	98,835

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნ. ქელიძე



ბუღალტერი - ლ. ორთაწაშვილი

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	9	5,928,622	7,111,256
არამატერიალური აქტივები		13,357	16,696
მონაწილეობა მეკავშირე საწარმოში	10	3,397,823	2,280,923
მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე და მისაღებ პროცენტებზე	11	619,196	598,574
სულ გრძელვადიან აქტივები		9,958,998	10,007,448
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	548,567	719,763
გადახდილი გადასახადები		-	24,034
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	13	1,864,724	1,699,990
მოთხოვნები მიმდინარე სესხებზე და მისაღებ პროცენტებზე	11	566,558	1,635,358
ფული და ფულის ექვივალენტები	14	14,398	223,435
სულ მიმდინარე აქტივები		2,994,247	4,302,580
სულ აქტივები		12,953,245	14,310,027
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		2,736,985	5,229,182
სულ კაპიტალი		2,736,985	5,229,182
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	15	3,746,378	3,806,267
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,746,378	3,806,267
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	3,972,783	3,282,466
საგადასახადო ვალდებულებები		30,793	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	15	2,466,305	1,992,113
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,469,881	5,274,579
სულ ვალდებულებები		10,216,259	9,080,846
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,953,245	14,310,028

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნ. ქელიძე

ბუღალტერი - ლ.ორთაწაშვილი

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	9	5,928,622	7,111,256
არამატერიალური აქტივები		13,357	16,696
მონაწილეობა მეკავშირე საწარმოში	10	3,397,823	2,280,923
მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე და მისაღებ პროცენტებზე	11	619,196	598,574
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,958,998	10,007,448
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	548,567	719,763
გადახდილი გადასახადები		-	24,034
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	13	1,864,724	1,699,990
მოთხოვნები მიმდინარე სესხებზე და მისაღებ პროცენტებზე	11	566,558	1,635,358
ფული და ფულის ექვივალენტები	14	14,398	223,435
სულ მიმდინარე აქტივები		2,994,247	4,302,580
სულ აქტივები		12,953,245	14,310,027
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		2,736,985	5,229,182
სულ კაპიტალი		2,736,985	5,229,182
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	15	3,746,378	3,806,267
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,746,378	3,806,267
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	3,972,783	3,282,466
საგადასახადო ვალდებულებები		30,793	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	15	2,466,305	1,992,113
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,469,881	5,274,579
სულ ვალდებულებები		10,216,259	9,080,846
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		12,953,245	14,310,028

* 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნ. ქელიძე



ბუღალტერი - ლ. ორთანუშაშვილი

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კომპანია	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	-	2,736,985	2,736,985
წმინდა მოგება		(2,492,197)	
დივიდენდის განაწილება			
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	5,229,182	5,229,182
წმინდა მოგება		98,835	98,835
დივიდენდის განაწილება		(83,053)	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-		-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-	5,213,399	5,213,399

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - ნ. ქულიძე

ბუღალტერი - ლ.ორთაწუნაშვილი

მპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კომპანია	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	-	2,736,985	2,736,985
წმინდა მოგება		(2,492,197)	
დივიდენდის განაწილება			
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	5,229,182	5,229,182
წმინდა მოგება		98,835	98,835
დივიდენდის განაწილება		(83,053)	
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	-	5,213,399	5,213,399

* 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბრის შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - ნ. ქელიძე




 ბუღალტერი - ლ. ორთაწუნაშვილი

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(2,488,861)	113,492
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	706,635	772,539
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი	3,339	4,174
საპროცენტო შემოსავალი	(184,349)	(184,268)
საპროცენტო ხარჯი	83,763	111,728
გაცემული სესხების გაუფასურება	501,570	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	92,159	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება	60,000	-
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	109,204	(842,021)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	(1,116,540)	(24,356)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანება	(256,892)	2,042,507
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	111,196	534,113
ცვლილებები გადასახადებში	54,826	(2,531)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	690,130	(878,194)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(517,280)	1,671,539
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,336)	(14,656)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობისთვის	(520,616)	1,656,883
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების მიღება	(649,433)	(1,180,985)
ძირითადი საშუალებების გასვლა	1,125,431	120,000
გაცემული სესხები	(187,661)	(1,568,303)
გაცემული სესხების დაფარვა	931,016	324,642
მიღებული პროცენტები	-	25,300
მეკავშირე საწარმოში არსებული წილის ზრდა	(1,116,901)	1
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	102,453	(2,279,346)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	1,700,838	747,134
მიღებული სესხის გადახდა	(1,396,849)	(1,177,604)
გადახდილი პროცენტი	(79,750)	(133,293)
გადახდილი დივიდენდი	-	(83,053)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	224,239	(646,816)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(15,113)	(28,968)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(209,038)	(1,298,246)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	223,435	1,521,679
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	14,397	223,433

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნ. ქელიძე

ბუღალტერი - ლ.ორთაწაშვილი

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(2,488,861)	113,492
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	706,635	772,539
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი	3,339	4,174
საპროცენტო შემოსავალი	(184,349)	(184,268)
საპროცენტო ხარჯი	83,763	111,728
გაცემული სესხების გაუფასურება	501,570	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	92,159	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება	60,000	-
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	109,204	(842,021)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	(1,116,540)	(24,356)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანება	(256,892)	2,042,507
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	111,196	534,113
ცვლილებები გადასახადებში	54,826	(2,531)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	690,130	(878,194)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(517,280)	1,671,539
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,336)	(14,656)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობისთვის	(520,616)	1,656,883
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების მიღება	(649,433)	(1,180,985)
ძირითადი საშუალების გასვლა	1,125,431	120,000
გაცემული სესხები	(187,661)	(1,568,303)
გაცემული სესხების დაფარვა	931,016	324,642
მიღებული პროცენტები	-	25,300
მეკავშირე საწარმოში არსებული წილის ზრდა	(1,116,901)	1
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	102,453	(2,279,346)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	1,700,838	747,134
მიღებული სესხის გადახდა	(1,396,849)	(1,177,604)
გადახდილი პროცენტი	(79,750)	(133,293)
გადახდილი დივიდენდი	-	(83,053)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	224,239	(646,816)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(15,113)	(28,968)
ფული და ფულადი ექვივალენტის წეტო ცვლილება	(209,038)	(1,298,246)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	223,435	1,521,679
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	14,397	223,433

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - ნ. ჟელიძე

ბუღალტერი - ლ. ორთაწუნაშვილი

შპს "მცხეთის სამედიცინო ცენტრი" *
 401993508
 "MTSKHETA MEDICAL CENTER" LTD *

გვერდი 9/21

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2014 წლის 13 თებერვალს, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მასივი ნაკვეთი N25. კომპანიის დამფუძნებლები არიან: გელა გოგიშვილი (პ/ნ:01012003024) 75%-იანი წილით და ნიკოლოზ ჭელიძე(პ/ნ:01006012978) 25%-იანი წილით. ნიკოლოზ ჭელიძე წარმოადგენს ორგანიზაციის დირექტორს.

2021 წლის 15 ოქტომბერს ორგანიზაციის სამომავლო გეგმებზე, მიზნებზე და პროექტებზე კონტროლის განხორციელების მიზნით, შეიქმნა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრი - გელა გოგიშვილი (პ/ნ:01012003024)
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ნიკოლოზ ჭელიძე (პ/ნ:01006012978)
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - გიორგი გოგიშვილი (პ/ნ: 01011023085)

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურება..

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

- აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.
- თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორ ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე,

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე კომპანია არის პირი რომელზეც კომპანიას არ გააჩნია კონტროლი, თუმცა ფლობს მისი კაპიტალიდან წილს. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ინვესტორი მონაწილეობს ან აქვს უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე და უნარი გამოიყენოს ინვესტირების ობიექტზე ფლობილი ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით, იმ შენატანით რაც განხორციელებულია შვილობილი საწარმოს კაპიტალში.

მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები მოგებაში ან ზარალში აღირიცხება, როდესაც დივიდენდის მიღების უფლება დადგენილია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადუფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტიაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არა მონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ექვექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ისინი ძირითადად მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს ინდივიდუალურ საფუძველზე. გაუფასურების რეზერვი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფადბრუნვად მარაგებს. საანგარიშო პერიოდში ვადაგასული და გაუფასურებული მარაგები იდენტიფიცირებული და აღიარებულია გაუფასურების ხარჯების მუხლზე.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- | | |
|----------------------------|--------|
| • შენობა-ნაგებობა | 5% |
| • მანქანა - დანადგარები | 8% |
| • ოფისის აღჭურვილობა | 20% |
| • სამედიცინო ინვენტარი | 15-20% |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 20% |
| • ავეჯი და სხვა ძირითადები | 15-20% |

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული
სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. არსებული სესხები წარმოადგენს საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებულ ვადიან სესხებს და საკრედიტო ხაზს, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

ვალდებულების არსებითი ნაწილი შედგება უცხოურ ვალუტაში წარდგენილი ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოქმნილია საქონლის იმპორტის დროს და მასზე განსაზღვრულია შესაბამისი დაფარვის ვადები.

ლივიდენდები

ლივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ლივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე. პერიოდის შემოსავლები მოიცავს სამედიცინო მომსახურების მიწოდებით მიღებულ შემოსავლებს.

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს სამედიცინო და კვლევითი მომსახურების გაწევაზე გახარჯული მარაგების თვითღირებულებას.

ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს საიჯარო ხარჯებს, საოფისე ხარჯებს, კომუნიკაციის და კომუნალურ ხარჯებს, ასევე ხარჯებში გაერთიანებულია საწვავის ხარჯები და უიმედო მოთხოვნები რომელიც ჩამოიწერა მიმდინარე წელს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 3 - შემოსავალი მომსახურებიდან

პერიოდის შემოსავლები მოიცავს საანგარიშო პერიოდში გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს

	2023	2022
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	5,837,231	7,840,507
ფასდათმობა და საქონლის უკან დაბრუნება	-	(8,187)
სხვა შემოსავლები	43,390	16,398
ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოსავლების კორექტირება	(236,676)	-
სულ შემოსავალი მომსახურებიდან	5,643,945	7,848,718

შენიშვნა 4 - თვითღირებულების ხარჯი

საანგარიშო პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს სამედიცინო მომსახურების გაწევაზე გახარჯული მარაგების და მცირეფასიანი ინვენტარის თვითღირებულებას რომელმაც 2023 და 2022 შემდეგია:

	2023	2022
ძირითადი სამედიცინო სახარჯი მასალები	1,546,590	2,431,626
დამხმარე სამედიცინო სახარჯი მასალები	35,018	30,536
სხვა თვითღირებულების ხარჯები	236,562	192,608
სულ თვითღირებულების ხარჯები	1,818,170	2,654,771

შენიშვნა 5 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

პერიოდის საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას :

	2023	2022
სახელფასო ხარჯი	3,574,519	4,114,372
ცვთის ხარჯი	709,975	776,713
სოციალური დანარიცხების ხარჯი	62,076	72,600
საკანცელარიო ხარჯი	13,472	20,524
კომუნიკაციის ხარჯი	12,492	13,489
საწვავის ხარჯი	45,622	55,833
კომუნალური ხარჯი	434,672	424,549
საკონსულტაციო ხარჯი	28,848	82,872
რემონტის ხარჯი	53,808	76,894
უიმედო მოთხოვნების ხარჯები	-	158,462
სხვა საოპერაციო ხარჯები	297,334	390,760
გაუფასურებული მარაგები	60,000	-
გაუფასურებული მოთხოვნები	92,159	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5,384,976	6,187,067

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 6 - სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2023	2022
არასაოპერაციო შემოსავლები უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურებიდან	31,622	242,562
ვალის პატივებით მიღებული არასაოპერაციო შემოსავალი	7,057	398,537
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8,357	86,807
სულ საოპერაციო შემოსავლები	47,036	727,906

შენიშვნა 7 - ფინანსური შემოსავალი

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	184,625	192,482
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	-	842,021
სულ ფინანსური შემოსავალი	184,625	1,034,503

შენიშვნა 8 - ფინანსური ხარჯი

	2023	2022
საპროცენტო ხარჯები	495,528	414,625
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	109,204	-
სულ ფინანსური ხარჯი	604,732	414,625

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 9 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სამედიცინო ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება	151,712	3,271,881	442,333	256,100	5,262,242	68,569	585,932	10,038,769
ცვეთა	-	(660,846)	(61,649)	(98,871)	(2,277,366)	(14,610)	(102,617)	(3,215,959)
ბალანსი 31/12/2021	151,712	2,611,035	380,684	157,229	2,984,876	53,959	483,314	6,822,810
დანამატები	726,901	149,800	79,221	45,914	171,165	-	7,984	1,180,985
აქტივების ჩამოწერა	-	(120,000)	-	-	-	-	-	(120,000)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(132,042)	(36,792)	(40,628)	(503,270)	(10,792)	(49,015)	(772,539)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2022	878,613	2,508,794	423,113	162,514	2,652,771	43,167	442,284	7,111,256
დანამატები	390,000	44,156	-	16,707	183,170	-	15,400	649,433
აქტივების ჩამოწერა	(1,116,901)	-	-	-	(8,530)	-	-	(1,125,431)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(127,648)	(33,849)	(36,274)	(433,133)	(8,633)	(67,098)	(706,635)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2023	151,712	2,425,303	389,264	142,947	2,394,278	34,534	390,585	5,928,622
ბალანსი 31/12/2022	878,613	2,508,794	423,113	162,514	2,652,771	43,167	442,284	7,111,256
ბალანსი 31/12/2023	151,712	2,425,303	389,264	142,947	2,394,278	34,534	390,585	5,928,622

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 10 - მონაწილეობა შვილობილ საწარმოში

„ორგანიზაცია“ განახორციელა შპს „ჩემი სივრცის“ კაპიტალში მიწების შეტანა, რომელთა საერთო ღირებულება მოცემულია აღნიშნულ ახსნა-განმარტებით შენიშვნაში. 2023 წლის მდგომარეობით „ორგანიზაცია“ ფლობს შპს ჩემი სივრცის 50%-ს, თუმცა არ აქვს მასზე კონტროლი.

დასახელება	31.12.2023		31.12.2022	
	საბალანსო ღირებულება	ფლობილი ინვესტიცია	საბალანსო ღირებულება	ფლობილი ინვესტიცია
შპს ჩემი სივრცე	3,397,823	50%	2,280,923	50%
სულ მონაწილეობა მეკავშირე საწარმოში	3,397,823		2,280,923	

შენიშვნა 11 - გაცემული სესხები

„ორგანიზაცია“ ფლობს გაცემულ სესხებს იურიდიულ და ფიზიკური პირების მიმართ საიდანც მომავალში მოელის ფულადი სახსრების შემოსვლას.

	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე იურიდიულ პირებთან	460,292	483,353
მოთხოვნები გრძელვადიან მისაღებ პროცენტებზე	158,903	115,221
მოთხოვნები მიმდინარე სესხებზე იურიდიულ პირებთან	477,538	1,485,428
იურიდიულ პირებთან დარიცხული საპროცენტო მოთხოვნები	89,020	149,930
სულ გაცემული სესხები	1,185,754	2,233,932

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	2,233,932	992,150
სესხის გაცემა	187,661	1,568,303
ანარიცხების დარიცხვა/ამოტრიალება	(501,570)	-
გაცემული სესხის ძირის მიღებები წლის განმავლობაში	(931,016)	(324,642)
საპროცენტო ვალდებულების დარიცხვა	184,349	184,268
პროცენტის მიღება წლის განმავლობაში	-	(25,300)
საკურსო ეფექტი	12,398	(160,846)
სულ წაგებული სესხები	1,185,754	2,233,932
გრძელვადიანი ნაწილი	619,196	598,574
მიმდინარე ნაწილი	566,558	1,635,358

შენიშვნა 12 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს მედიკამენტებს და სახარჯს მასალებს. გაუფასურებული მარაგები წარმოადგენს ვადაგასულ მედიკამენტებს, რომელიც აღიარდა ხარჯად.

	31.12.2023	31.12.2022
სამედიცინო სახარჯი მარაგები	541,360	655,109
სამედიცინო ინსტრუმენტები	43,256	35,510
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	23,951	29,144
გაუფასურებული მარაგები	(60,000)	-
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	548,567	719,763

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 13 - მიმდინარე მოთხოვნები

ბალანსზე მოცემული სავაჭრო მოთხოვნები შემცირებულია უიმედო დებიტორული დავალიანების თანხებით.

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	1,879,545	1,682,672
გადახდილი ავანსები	77,338	17,018
სხვა მოთხოვნები	-	300
გაუფასურებული მოთხოვნები	(92,159)	-
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1,864,724	1,699,990

შენიშვნა 14 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ფულს ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე

	31.12.2023	31.12.2022
ლარი საბანკო ანგარიშებზე	3,150	184,528
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	10,818	38,680
ნაღდი ფული სალაროში	429	227
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	14,398	223,435

შენიშვნა 15 - სასესხო ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი სესხები იურიდიულ პირებთან	3,746,378	3,806,267
გრძელვადიანი სესხები ფიზიკურ პირებთან	-	-
	3,746,378	3,806,267
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები იურიდიულ პირებთან	1,900,843	1,478,818
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები ფიზიკურ პირებთან	42,650	62,473
	1,943,493	1,541,291
გადასახდელი პროცენტები იურიდიულ პირებთან	522,676	442,684
გადასახდელი პროცენტები ფიზიკურ პირებთან	137	8,138
	522,812	450,822
სულ სასესხო ვალდებულებები	6,212,683	5,798,380

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული
 შენიშვნა 15 - სასესხო ვალდებულებები (გაგრძელება)

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვალიანობა	31.12.2023	31.12.2022
სს თიბისი ბანკი 10714167	აშშ დოლარი	9.50%	27/10/2029	178,212	201,142
სს თიბისი ბანკი 10934439	ევრო	9%	04.03.2027	754,970	912,379
სს თიბისი ბანკი 10670309	ევრო	9%	27/10/2029	2,979,393	3,255,566
სს პროკრედიტ ბანკი	აშშ დოლარი			-	6,949
სს თიბისი ბანკი 13000196	ლარი	13%	29/11/2024	300,000	-
სს თიბისი ბანკი 12923838	ლარი	12%	28/11/2030	496,103	235,508
სს თიბისი ბანკი 12832801	ლარი	13%	29/11/2024	290,000	-
სულ გრძელვადიანი სესხები				4,998,678	4,611,543

*ქვემოთ მოცემულია საანგარიშო პერიოდში სასესხო ვალდებულებების მოძრაობა:

	2023	2022
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	5,798,379	7,277,385
სესხზე დარიცხული პროცენტი	83,763	111,728
მიღებული ფულადი სახსრები	1,700,838	747,134
გადახდილი პროცენტი	(79,750)	(133,293)
გადახდილი ძირი თანხა	(1,396,849)	(1,177,604)
საკურსოს ხვაობა	106,301	(1,026,971)
სულ ნასესხები სახსრები	6,212,682	5,798,379
გრძელვადიანი ნაწილი	3,746,378	3,806,267
მოკლევადიანი ნაწილი	2,466,304	1,992,112

შენიშვნა 16 - სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2023	31.12.2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3,964,265	3,282,466
მიღებული ავანსები	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	8,518	-
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,972,783	3,282,466

17. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
 - (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
 - (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
 - (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმალესი რანგის ხელმძღვანელობა;
 - (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.
- თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:			
დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	2023	2022	იურიდიული/ფიზიკური პირები
სასესხო ვალდებულებები	648,543	605,565	იურიდიული პირი
სასესხო ვალდებულებები	42,650	62,473	ფიზიკური პირი
სასესხო ვალდებულებები - პროცენტი	522,676	442,879	იურიდიული პირი
სასესხო ვალდებულებები - პროცენტი	136,085	119,809	ფიზიკური პირი
გაცემული სესხები	109,775	63,291	იურიდიული პირი
მისაღები პროცენტები	88,844	37,728	იურიდიული პირი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,486,598	2,433,260	იურიდიული პირი

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:			
დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2023	2022	იურიდიული/ფიზიკური პირები
მარაგების შეძენა	306,683	253,345	იურიდიული პირი
ძირითადი საშუალებების შეძენა	2,179,915	2,179,915	იურიდიული პირი

2023 და 2022 წლებში დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სახელფასო ფონდი შეადგენდა 115,855 და 164,917 ლარს.

19. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი„

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი „

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ

საწარმოს სრული დასახელება - **შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი„**

საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი -ს/კ N **401993508**

იურიდიული მისამართი - საქართველო, 3300, ქ. მცხეთა, სამხედროს N20

სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი და თარიღი -

საკონტაქტო ტელეფონი - (+995 32) 2 24 42 40 ; 577 27 77 02 ;

ელ.ფოსტა - info@mmc.com.ge

დირექტორი - ნიკოლოზ ჭელიძე

საქმიანობის სფერო („ეკონომიკური საქმიანობის სახეების“-სეკ-ის მიხედვით)-სამედიცინო მომსახურების გაწევა.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კლინიკის საქმიანობა

შპს “მცხეთის სამედიცინო ცენტრის“ ძირითადი საქმიანობის სახეა სამედიცინო საქმიანობა.

კლინიკა წარმოადგენს მრავალპროფილურ საავადმყოფოს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებს.

სამედიცინო საქმიანობის იურიდიული საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მიერ, 2017 წლის 06 თებერვლის გამოცემული N 02-203/ო ბრძანების საფუძველზე კლინიკას მიღებული აქვს სტაციონარული დაწესებულების ნებართვა N000842, რომლის საფუძველზეც ახორციელებს სტაციონარულ და ამბულატორიულ სამედიცინო საქმიანობის სანებართვო მოწმობის დანართის ფარგლებში.

ნებართვები :

1. სტაციონარული დაწესებულების ნებართვა N000842;
2. სამედიცინო-გინეკოლოგიური საქმიანობა N003959;
3. ლაბორატორიული საქმიანობა -კლინიკური დიაგნოსტიკა N003965;
4. ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა N003966;
5. ლაბორატორიული საქმიანობა-იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა N003967;
6. ინკოლოგია - N003956;
7. ქირურგიული პროფილის საქმიანობა N003957;
8. რადიოლოგიური საქმიანობა -რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა N003962;
9. რადიოლოგიური საქმიანობა - კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა- N003963;
10. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - EMERGENSY –N003961;
11. რეანიმაცია- N003960;
12. ოტორინოლარინგოლოგია - N003964;
13. დიალიზი - N003955;
14. ნეიროქირურგია- N003958;
15. ინტერვენციული კარდიოლოგია - N003954;

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი„

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

კლინიკა ფუნქციონირებს 2017 წლის მარტიდან, რომელიც დღეის მდგომარეობით არის მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულება 150 საწოლზე, რომელიც მოსახლეობას სთავაზობს ამბულატორიულ, კლინიკურ/სტაციონარულ და დიაგნოსტიკურ მომსახურებას.

კლინიკას ძირითადად შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი არქიტექტურული გარეგნული იერსახე. შენობას აქვს ვენტილაციის, ცენტრალიზებული წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების, გათბობის და კონდენცირების ცენტრალიზებული სისტემა, აგრეთვე ავტონომიური დენის წყარო. პაციენტთა სამედიცინო მომსახურების საქმეში უწყვეტობის შენარჩუნების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კლინიკას გააჩნია ელექტრო და წყალმომარაგების ალტერნატიული, სარეზერვო წყაროები.

გარდა ამისა, კლინიკას გააჩნია საკუთარი, სამედიცინო ჟანგბადების მიმღები (წარმოება) დანადგარი. ასევე, კლინიკას გააჩნია 10 (ათი) ტონიანი ჟანგბადის ავზი.

კლინიკის ძირითადი პროდუქტები/მომსახურება და საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

კლინიკა მომსახურებას 100-ზე მეტი დასახელების სამედიცინო მომსახურებას აწვდის. კლინიკის მიერ უზრუნველყოფილი სერვისების არასრული ჩამონათვალია: ლაბორატორიული საქმიანობა-კლინიკური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა; ლაბორატორიული საქმიანობა იმუნოლოგიური და სროლოგიური დიაგნოსტიკა; ონკოლოგიური და ქირურგიული პროფილის საქმიანობა; ნეიროქირურგიული საქმიანობა; ინტერვენციული კარდიოლოგიური მომსახურება და სხვა.

სტატისტიკურად დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად :

დასახელება	2023	2022	2021	2020
დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით	185	180	160	160

კლინიკა სამედიცინო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო გაიდლაინებითა და პროტოკოლებით. კლინიკის ექიმები სისტემატურად გადიან პროფესიულ მომზადებას. ექიმებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი ინფორმაციები, სხვადასხვა დაავადებების და მდგომარეობის მართვის შესახებ.

შეინიშნა პაციენტების მატება - რაოდენობა 2023 წლის ნოემბრის თვიდან, ვინაიდან 2022 წლის თებერვლის თვიდან დაიწყო COVID 19 პანდემიის დასრულება, შესაბამისად პაციენტების კლება 2022 წელს.

2023 წელს კლინიკის შემოსავლები, მიღებულია პაციენტების მომსახურებიდან.

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი „

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის , რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

კლინიკის შემოსავლების დაფინანსების ძირითადი წყარო არის საყოველთაო ჯანდაცვი სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის შედეგად, პაციენტებზე გაწეული მომახურებიდან მიღებული შემოსავალი (კლინიკა მონაწილეობს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში).

EBITDA (მოგება დაკორექტირებული საპროცენტო ხარჯით, მოგების გადასახადით და ცვეთა და ამორტიზაციით/ამონაგებთან)

აქტივებზე უკუგება (წლის მოგება /ზარალი) მთლიანი აქტივები

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი -მოკლევადიანი აქტივები / მოკლევადიანი ვალდებულებები.

განვითარების გეგმები

2023 წლის სამედიცინო მომსახურების მაჩვენებლები კლინიკას საშუალებას აძლევს მომდევნო წელს დაგეგმოს არსებული სამედიცინო სერვისების გაფართოების და გაუმჯობესების ღონისძიებები, ასევე ახალი სერვისების დამატებასთან დაკავშირებული სამუშაოები (აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დამოკიდებული იქნება მარეგულირებლის მიერ თუ რა ტარიფები და რეგულაციები იქნება შემოღებული).

2024 წლისათვის დაგეგმილია გეგმიური დიალიზის განყოფილების მოწყობა - რაც თავისთავად მოითხოვს კლინიკაში დამატებითი სამედიცინო აპარატურის შემოტანას/ყიდვას და ასევე სამედიცინო პერსონალის დამატებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ეს დამატებითი ფუნქციები კლინიკას მოუტანს გარკვეული ტიპის დამატებით შემოსავალს.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2023 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

შპს „მცხეთის სამედიცინო ცენტრი „

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების, სახელმწიფოს მიერ დაფინანსების ახალ მეთოდზე გადასვლის გარდა, კლინიკა საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კლინიკის ძირითად ფინანსულ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები .

საკრედიტო რისკები - არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კლინიკის მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) ძირითად ნაწილს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოზე მოდის კლინიკა საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ ყველა დაუფარავი საკრედიტო ტანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კლინიკა საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. კლინიკის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კლინიკა შემდგომში დაგეგმავს ახორციელებს რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის .

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი დინანსური რესურსების არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს . კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი განისაზღვრება , როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო.

საპროცენტო რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილებების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან კომპანიას გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

საოპერაციო რისკები

კანონმდებლობა - კომპანია მუდმივად ექვემდებარება მონიტორინგს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებლების მხრიდან, შესაბამისად ყოველთვის არსებობს სანქციების დაკისრების ან ჯარიმის თანხით სახელმწიფოს მხრიდან მისაღები თანხების შემცირების რისკი.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესრულების პროცესში საკანონმდებლო ბაზით მოთხოვნილია რიგი პროცედურების ასახვა სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში, რომელთა დიდი ნაწილი არ უკავშირდება პაციენტის სამედიცინო მომსახურებას და არ ცვლის შემთხვევის შესახებ არსებულ ინფორმაციას, კერძოდ პაციენტის დაწესებულებაში მისვლის დრო, ფორმა , შეტყობინების დრო, პაციენტის გადახდის ქვითრის ნომერი და ა. შ. ასეთი ტიპის ტექნიკური ხარვეზები იწვევს საჯარიმო სანქციების დაკისრებას. პროგრამის განმახორციელებლის მხრიდან შემოწმების და კონტროლის განხორციელება სშედებად დაკისრებული ჯარიმის აღსრულებას, განმახორციელებელი იწყებს ჯარიმის დაკისრებიდან ერთი კალენდარულ თვეში, მიუხედავად იმისა, კომპანია ეთანხმება თუ არა დაკისრებულ საჯარიმო სანქციას.

კომპანიას აქვს შემუშავებული პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისობის ვალდებულებების მისაღწევად- ხარისხის მენეჯმენტი, დოკუმენტაციის მონიტორინგი და ა, შ. სამედიცინო დოკუმენტაციის აღრიცხვისთვის კომპანიაში მოქმედებს შიდა მონიტორინგის სამსახური. კომპანიის იურიდიული სამსახური ჩართულია მნიშვნელოვანი კონტრაქტის განხილვის პროცესში. ფინანსური დეპარტამენტი უწევს მონიტორინგს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს და მასთან შესაბამისობას აკონტროლებს .

შპს „ მცხეთის სამედიცინო ცენტრი „

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები არის ხელმძღვანელობის შეფასებით სრული, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები აღარ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერს.

